საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 19[illegible] წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 31 (6577) 12 აგვისტო 1993 წელი ხუთშაბათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომიკა

[illegible]

## მთავარი მაინც დაინტერესებაა

მეაბრეშუმეობა ჩვენი კუთხის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ერთერთი და უძველესი დარგია. რაიონში არიან ადამიანები, რომელთა მეხსიერებას ნათლად შემორჩა მისი მოვლისა და მოსავლის მიღების უძველესი ხერხები, რასაც ხალხი თვითგანათლებით, სხვათა გამოცდილების გაზიარებით აღწევდა. მას შემდეგ ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა, მურის მოვლა-მოყვანის ხერხები და მეთოდები მეცნიერულ დონეზე დამუშავდა, რაც სწრაფად გაითავისეს ჩვენმა მეაბრეშუმეებმა. ბევრი სიძნელე და დაბრკოლებაც გადაილობა აბრეშუმის პარკის მიღების გზას, მაგრამ ისეთ ძნელ მდგომარეობაში, როგორშიც დღესაა ეს ჩვენი ეკონომიკისათვის მეტად სასარგებლო და სასიცოცხლოდ აუცილებელი დარგი, არასოდეს ყოფილა.

წელს რაიონის მეაბრეშუმეებს 18 ტონა აბრეშუმის პარკი უნდა მიეყიდათ სახელმწიფოსათვის. ეს მაშინ, როცა გასულ წლებში 21—23 ტონა აბრეშუმის პარკი მზადდებოდა. მაგრამ სამწუხაროა, რომ ეს შემცირებული დაკვეთაც მხოლოდ სანახევროდ შესრულდა, მეაბრეშუმეებმა ცაგერის და ალპანის პუნქტებს მხოლოდ 9,1 ტონა აბრეშუმის პარკი ჩააბარეს.

მიზეზი? რამდენიც გნებავთ, ობიექტურიც, სუბიექტურიც, მაგრამ დარგისადმი ასეთი დამოკიდებულების მიზეზი მაინც მატერიალური დაინტერესების უგულვებელყოფაა. წელს მეაბრეშუმეებს კილოგრამ აბრეშუმის პარკში საშუალოდ 1000 კუპონს დაპირდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, რაღაც დაქვითვებით, იმაზე ნაკლები მიიღეს. სწორედ ესაა მიზეზი, რომ თუ გასულ წლებში 600 მეაბრეშუმე მაინც იყო, წელს სეზონის ბოლომდე, მოსავალი რომ მოიწია ისეთი, 280-მდე მეაბრეშუმე შემორჩა. ეს ის ადამიანებია, ვინც არ შეუშინდა სიძნელეებს, დაივიწყა ეკონომიკური მხარე, ვერ დათმო საყვარელი საქმე და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გამოკვება აბრეშუმის მური და უტრანსპორტობის დროს, მოსავლით ხელში ათეული კილომეტრი ტვირთიანმა ფეხით გამოიარა.

რაიონის მეაბრეშუმე სპეციალისტები სახელმწიფო დაკვეთის შეუსრულებლობის მიზეზად დაავადებასაც ასახელებენ, მაგრამ კარგი მოვლის შედეგად ვერაფერი დაავადება ვერ მოერია ქვედა ცაგერელი თინა შკუბულიანის, მაგული, ცირა ბენდელიანების გვესოელი ლოლა ჩახუნიანის, წიფერიელი მეაბრეშუმეების სინა ჯიაძის, მადონა ქვილითაიას, ნაზიკო ბენიძის, ჩქუმელი დალი ომანაძის, ჩხუტელელი ნორა მეშველიანის, თინა ჩაფრავას, ლასხანელი დოდო მეშველიანის და სხვათა მოვლილ მურებს, რომლებმაც 45—53 კილოგრამი ხარისხიანი აბრეშუმის პარკი მიიტანეს მიმღებ პუნქტში.

დღეს ქართული აბრეშუმი რომ უდიდესი ღირსებისა და მნიშვნელობის მქონე საძრეწველო ნედლეულია, ამას მტკიცება არ სჭირდება, დარგის აღმავლობა რომ მატერიალურ დაინტერესებასთან პირდაპირ კავშირშია, ესეც უდავო ჭეშმარიტებაა და სწორედ ეს საკითხი უნდა დაისვას პირველ რიგში.

## საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სხდომიდან

## გამოიკვეთა სამთავრობო კრიზისი

5 აგვისტოს, მიუხედავად პარლამენტის საზაფხულო არდადეგებისა, სახელმწიფოს მეთაურის წინადადებით გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის საგანგებო სხდომა, რომელზედაც განსახილველად გამოტანილი იყო ორი საკითხი—საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის აპრილ—დეკემბრის რესპუბლიკური ბიუჯეტის და საქართველოს ერთიანი სახელმწიფო ფულადი საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი. სხდომაზე დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინეს რესპუბლიკის პრემიერ—მინისტრმა თენგიზ სიგუამ, ფინანსთა მინისტრმა კახი პოპიაშვილმა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა დემურ დვალიშვილმა, პარლამენტის საფინანსო—საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ბასილაიამ.

მეხუთე თვეა სახელმწიფო დაუმტკიცებელი ბიუჯეტით ცხოვრობს. ამან კი ერთობ რთული ვითარება შექმნა ისედაც გაჩანაგებულ ჩვენს სახალხო მეურნეობაში. რეალურად შეიქმნა იმის საშიშროება, რომ თუ პარლამენტი არ მიიღებდა კანონს ბიუჯეტის შესახებ, ვეღარ დაფინანსდებოდა სახალხო მეურნეობის ვერც ერთი დარგი და ძნელი წარმოსადგენი არაა, ამას რა მოჰყვებოდა.

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის პირველი განხილვა პარლამენტის სხდომაზე 22—23 ივლისს გაიმართა და საკმაოდ ცხარე კამათის შემდეგ პროექტი მთავრობას დაუბრუნდა მისი შემდგომი სრულყოფისა და დახვეწისათვის.

მომხსენებლებმა პასუხი გასცეს პარლამენტართა შეკითხვებს. ამ პასუხთა უმრავლესობამ ვერ დააკმაყოფილა პარლამენტის წევრები და გადაწყდა, რომ კამათი ბიუჯეტის შესახებ არ გამართულიყო. ნათელი გახდა, რომ პარლამენტართა უმრავლესობა უნდობლობას უცხადებდა მთავრობას, მის მიერ გაწეულ მუშაობას და დღის წესრიგში დადგა მინისტრთა კაბინეტის ნდობა—უნდობლობის საკითხი. მიუხედავად ამისა, კანონპროექტი ბიუჯეტის შესახებ მაინც იყო დაყენებული კენჭისყრაზე, მაგრამ იგი არ მიიღეს.

მინისტრთა კაბინეტს შესთავაზეს გამოეყენებინათ კანონმდებლობით მიცემული შანსი—მოეთხოვათ ერთი კვირა ბიუჯეტის პროექტის კორექტირებისა და დახვეწისათვის. კაბინეტის წევრთა სახელდახელო თათბირის შემდეგ მათ ამაზე უარი განაცხადეს. ამავე დროს მინისტრთა კაბინეტმა არ დააყენა გადადგომის საკითხი.

შექმნილ სიტუაციაში პარლამენტის წევრთა ნაწილმა სახელმწიფოს მეთაურს მოსთხოვა ისარგებლოს მისთვის მინიჭებული უფლებებით და გარკვეული დროის განმავლობაში მოახდინოს მინისტრთა კაბინეტის რეორგანიზაცია, დროებით კი თავად იკისროს პრემიერ—მინისტრის მოვალეობის შესრულება.

სხდომის შედეგები შეაჯამა სახელმწიფოს მეთაურმა—პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ. მან მოუწოდა მინისტრთა კაბინეტს აწონ-დაწონოს თავისი გადაწყვეტილება და მომდევნო სხდომაზე მოვიდეს კონსტრუქციული მოსაზრებებით.

* * *

6 აგვისტოს გაიმართა საქართველოს პარლამენტის მომდევნო საგანგებო სხდომა, რომელზედაც რესპუბლიკის პრემიერ მინისტრმა თენგიზ სიგუამ გამოაცხადა მინისტრთა კაბინეტის გადადგომა, რასაც მხარი დაუჭირა პარლამენტმა.

## მშვიდობა ნახოს საქართველომ

**ომის შეწყვეტის თაობაზე ხელშეკრულება გაფორმდა, შეწყდა ინტენსიური დაბომბვები და ცეცხლი. კი მართალია ჩვენსა და აფხაზებს შორის ჩატეხილ ხიდს ერთი ხელის დაკვრით ვერ გავამრთელებთ, მაგრამ თანდათან, დროდადრო გამოჩნდება ეშმაკი, სატანა ვინაც გაადვივა ძმათა შორის შუღლი და სიძულვილი.**

**როგორია რეაქცია ამ ხელშეკრულებაზე, რას ფიქრობს სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და რანგის ადამიანები?**

**უ. კოპალიანი** (დიდი სამამულო ომის ვეტერანი): ხელშეკრულება ჩემის აზრით აუცილებელია და გადაუდებელი. მაგრამ რატომ არ სურს ბევრს? არ სურს იმას, ვისაც არ აწყობს სტაბილიზაცია ქვეყანაში, ვინც ამ არეულ დროში ხელი მოითბო, ვისაც არ შია და სხვისი ჭირი ღობის ჩხირად არ ეღირს. ჩვენ დიდი ომი გამოგვივლია, საომარი მოქმედების ქვეყანაში წესრიგზე ლაპარაკი არ შეიძლება. ამიტომ უნდა შეწყდეს სისხლისღვრა. რაც შეეხება ხელშეკრულების ბევრ პუნქტს, რომელიც არ მოგვწონს ან ქვეყნისათვის არ არის სასარგებლო, თანდათან მოევლება.

**ლ. მეშველიანი:** ხელშეკრულება ძალიან კარგია. სხვა გზა მე მგონია არ იქნებოდა სწორი. ახლა მთავარია მოგვარდეს რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა. და მაინც ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, თითოეულ ქართველზე.

**ლ. შკუბულიანი:** მე არ ვიცი კარგია თუ ცუდი ხელშეკრულება, ამაზე პოლიტიკოსები იტყვიან, მაგრამ ერთი კი ვიცი, ჩვენთვის უბრალო ადამიანებისათვის მშვიდობა და პური საჭირო.

**ჯ. კოპალიანი** (ლტოლვილი). რას იზამ, ლაპარაკი ადვილია. ვისაც თავის ნაოფლარი და ბუდე ოხრად დარჩა, შვილი და ახლობელი მოუკლეს, ვინაც ყოველ წამს უყურებდა იქ აფხაზეთში სიკვდილს თვალებში, იმ ხალხს უნდა ვკითხოთ. მშვიდობა უდიდესი სიკეთეა, ადამიანებო ვფიქრობ დაიძრა ყინული, ქართველობა და აფხაზობა გზას უხსნის მშვიდობას. ამ დიდ მისწრაფებას ყველამ უნდა შევუწყოთ ხელი. ამ წუთში ყველა ოპოზიციური აზრი, ჩემას გაგებით, განზე გადგომა და საქართველოს ღალატია.

სხვა გაზეთებიდან

# ვინ არიან «იეღოვას მოწმეები»

წერილი III

## იესო ქრისტე — ძე ღმერთი!

როცა „იეღოვას მოწმეები“ იესო ქრისტეს შესახებ მსჯელობენ, მხედველობიდან რჩებათ ორი მუხლი მოც. პავლეს ეპისტოლედან ტიმოთეს მიმართ.

1. „ვინაიდან ერთია ღმერთი და ერთია ღმერთსა და ადამიანებს შორის შუამავალი კაცი ქრისტე იესო (1ტ. 25).

II „და უცილობლად დიდია ღვთისმოსაობის საიდუმლო: ღმერთი გამოჩნდა ხორცში. გამართლებულ იქნა სულში. დანახულ იქნა ანგელოზების მიერ, ნაქადაგები წარმართებში, ამაღლებულ იქნა რწმენით ქვეყანაზე და ამაღლდა დიდებაში“ (1 ტ. 3,16).

ცხადია, რომ მეორე მუხლშიც იესო ქრისტეზეა საუბარი, რადგან მამა ღმერთი კი არ გამოჩენილა ხორცში, არამედ მისი ძე. ორივე მუხლი ნათლად მიგვითითებს იესო ქრისტეს ორი ბუნების: ღვთაებრივისა და კაცობრივობის შესახებ. კერძოდ, გვასწავლის, რომ მას სრული კაცობრივი და სრული ღვთაებრივი ბუნება აქვს: ამ მუხლების გათვალისწინება ხელს გვიწყობს სწორად გავიგოთ სახარების ზოგიერთი ადგილი. მაგ. იესოს სიტყვები: **„... მამა ჩემზე მეტია“ (იოანე 14,2).** ამ სიტყვებში იესო ქრისტეს მხოლოდ ამქვეყნიური მდგომარეობაა შედარებული იმ დიდებასთან, რომელშიც მარადიულად / იმყოფება მამა ღმერთი. აგრეთვე იგულისხმება, რომ მამა ღმერთი აღემატება იესო ქრისტეს, როგორც კაცს.

იოანეს სახარებაში ვკითხულობთ: **„მე და მამა ერთი ვართ“ (10.30).** ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ მამა და ძე არსით ერთია, რაც არასოდეს არ უთქვამს არც ერთ წინასწარმეტყველს. განა შეიძლება, რომ იოანეს სახარების ზემოთ ნახსენები ორი მუხლი ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს?

სექტანტებს ხშირად მოჰყავთ ციტატა პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ ეპისტოლედან (კორ. 15.2), რათა ძე ღმერთსა და მამა ღმერთს შორის განსხვავება დაამტკიცონ, სახელდობრ კი ის, რომ პირველი მეორეს ემორჩილება. სინამდვილეში ეს მუხლი ძე ღმერთსა და მამა ღმერთს შორის არსებული სრული თანხმობის გამომხატველია, ხოლო თუ სიტყვა „დამორჩილებას“ პირდაპირი მნიშვნელობით განვიხილავთ, იგი მამა ღმერთისადმი იესო ქრისტეს კაცური ბუნებით მორჩილებას გულისხმობს.

რაც შეეხება პავლე მოციქულის ეპისტოლეს რომაელთა მიმართ, სადაც ნათქვამია, რომ ებრაელებმა იესო არ მიიღეს და იგი დასასჯელად გადასცეს.

ძველ აღთქმაში ესაია წინასწარმეტყველებდა: **„აჰა მუცლად იღებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს“ (ეს. 7,14)** იგივე მუხლი მოჰყავს მათე მახარებელს თავის სახარებაში, როცა იესოს შობაზე საუბრობს და თან უმატებს: „რაც თარგმანით ნიშნავს: ღმერთი ჩვენთანაა“ (მათე 1,23).

„...და დაარქმევ მას სახელად იესოს.. (მათე 1,21).

„...და დაარქმევენ მას სახელად იმანუელს... (მათე 1,23).

ერთი შეხედვით ეს ორი მუხლი ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ ცხადია, სხვადასხვა აზრს გადმოგვცემს. „სახელის დარქმევა“ თითოეულ მუხლში განსხვავებული შინაარსის მატარებელია. პირველ მუხლში მითითებულია ქრისტეს კონკრეტული, მიწიერი სახელი, რომელიც ქრისტეს პირდაპირი მნიშვნელობით დაარქვეს. მეორე მუხლში მითითებული სახელი კი, რომელიც ნიშნავს „ჩვენთან არს ღმერთი“, საკუთარი სახელი არაა, ეს სახელი იმ პირის თვისებას წარმოაჩენს, ვისაც იგი დაარქვეს და განკაცებულ ღმერთს აღნიშნავს.

წინასწარმეტყველ ესაიას ამ მუხლთან (ესაია 7.14) დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მასორეთული ბიბლია (თანამედროვე ებრაული ტექსტი) ხშირ შემთხვევაში არასაიმედოა. იუდეველთა მწიგნობრებმა, ე. წ. მასორეთებმა (გადმოცემის დამცველები), რომლებმაც ბიბლიის ზუსტი ტექსტის დადგენა მოინდომეს (დაახ. IX—X სს. ქრისტეს შობიდან), არა მარტო თავიდან ვერ აიცილეს ამ დროისათვის ებრაულ ტექსტებში უკვე არსებული შეცდომები, არამედ ზოგიერთი ადგილის დამახინჯება თავადაც დაუშვეს.

ამ დამახინჯების შესახებ არავინ იცოდა, ვიდრე XX ს. 40—იან წლებში პალესტინაში, მკვდარი ზღვის მიდამოებში, არ აღმოჩნდა ხელნაწერები, რომლებშიც ებრაული ბიბლიის სხვადასხვა წიგნების ტექსტებია დაცული. მათი წაკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ ამ ადგილას (ესაია 7,14) უნდა იყოს ებრაული სიტყვა „კეტულა“ — ქალწული და არა ახალგაზრდა ქალი, როგორც ეს მასორეთების მიერ „დაზუსტებულ“ ბიბლიაში იკითხება.

ამის შემდეგ თავად მკითხველმა გახსაჯოს, ბიბლიის რომელი ტექსტია უფრო ავტორიტეტული: ქრისტეს შობამდე ძე—3 საუკუნეში უძველესი ებრაული ხელნაწერიდან ბერძნულად თარგმნილი სეპტუაგინტა, თუ IX—X სს-ში მასორეთების მიერ დადგენილი ტექსტი — თანამედროვე ებრაული ბიბლია.

### წმიდა წერილში ამოიკითხეთ ის, რაც არის!

როცა იესო მიმართავს მოწაფეებს, რომ ისინი წავიდნენ და მონათლონ ხალხები: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“ (მათე 28,19) უეჭველად მიგვანიშნებს მამის, ძის და სულიწმიდის ერთარსებაზე. მის სიტყვებში ერთი სამპიროვანი ღვთის არსებობაა განცხადებული. წინააღმდეგ შემთხვევაში იესო მოწაფეებს ეტყოდა, რომ მსურველები მარტო მამის სახელით მოენათლათ.

ქრისტეს ღმერთობაზე აშკარა მითითებაა იოანეს სახარებაში (იოანე 1,1): „სიტყვა იყო ღმერთი“; სიტყვა აქ ძე ღმერთის აღმნიშვნელია.

„იეღოვას მოწმეების“ მიერ გამოცემული ბიბლიის ე. წ. „ახალი ერის“ თარგმანი ამ ადგილს ამახინჯებს და ასე გადმოსცემს: „სიტყვა იყო ღმერთად“. ამ სექტის თეორეტიკოსთა განმარტებით კი აქ თითქოს ძე ღმერთის მამა ღმერთთან მსგავსება იგულისხ-

მადლი

მე[illegible]

მინდა მივმართო „იეღოვა მოწმეებს“, ვი[illegible] ჯერ კიდევ შეუ[illegible]ლია საღად მსჯელობ[illegible], ნუ წაიკითხავთ წმიდა წერილში იმას, რაც არ არის!.. იოვანეს სახარებაში ხომ [illegible] გარკვევით წერია სიტყვა ანუ ძე, იესო ქრისტე, ღმერთია. სახარებაში გვაქვს შესანიშნავი ადგილი, როცა მკვდრეთით აღმდგარი უფალი იესო ქრისტე მოციქულებს ეცხადება და მათ შორის თომას, რომელსაც მისი მკვდრეთით აღდგომა არ სჯეროდა, ეუბნება:

„...ურწმუნო კი არა, არამედ მორწმუნე იყავ“.

თომამ მას პასუხად უთხრა: **უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო!**

იესომ უთხრა მას: შენ მირწმუნე იმიტომ, რომ მიხილე; ნეტარ არიან არა მხილველნი და მორწმუნენი (იოანე 20,27—29).

ნახეთ! თომა არ კმაყოფილდება იმის აღიარებით, რომ იესო ძე ღვთისაა, არამედ მას ღმერთადაც აღიარებს. როგორ შეხვდა თვითონ იესო თომას აღიარებას? თომას სიტყვებს რომ ჭეშმარიტება არ ასახა, იესო აუცილებლად უპასუხებდა: არა, თომა, შენ ცდები! ღმერთი მხოლოდ მამაა და არა ძე, მაგრამ იგი პირიქით, ყველა დროის ქრისტიანებს ეუბნება: თომამ იმიტომ აღიარა, რომ მიხილა, ხოლო ნეტარნი არიან ისინი, რომელთაც არ უხილავთ და სწამთ, რომ ძე ღვთისა ჭეშმარიტი ღმერთია.

**რ. ჯიბუტი.**

**თბილისის სასულიერო აკადემიის სტუდენტი.**

---

ფოსტა

## მადლობის მეტი რა გვეთქმის

ქვემო სვანეთში, მდინარე ცხენისწყლის თვალწარმტაც ხეობაშია კურორტი მუაში. ლამაზმა მდებარეობამ, წიწვიანმა ტყემ, სამკურნალო მინერალურმა წყალმა შორს გაუთქვა სახელი კურორტს. რესპუბლიკის რომელი კუთხიდან არ არიან აქ მოსული დამსვენებლები და იკაჟებენ ორგანიზმს.

დღევანდელ მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებაში, როცა ელემენტარული პირობებიც არ არის კურორტების ფუნქციონირებისათვის, გაკვირვებას იწვევს რესპუბლიკური დაქვემდებარების კურორტ „მუაშის“ მომსახურების მაღალი დონე (დირექტორი თემურ ონიანი, სამეურნეო ნაწილის უფროსი ზაურ ლობჟანიძე).

ამჟამად აქ ორასზე მეტი დამსვენებელია, მათთვის ყოველდღიურად არის ახალი ხორცი, კარაქი, ბურღულეული და სხვა პროდუქტები. მუშაობს მინერალური წყლის სააბაზანო, არის კულტურული მომსახურება დამსვენებელთათვის.

დამსვენებლები კმაყოფილი არიან კურორტის ექიმის იზო ონიანის, მედიცინის დის ელიკო ონიანის და სხვათა მომსახურებით.

მადლობის მეტი რა გვეთქმის კურორტის გულისხმიერი, ფუტკარივით მოფუსფუსე კოლექტივის მიმართ.

**რუსუდან ყურაშვილი,**
**დიანა ცვარიანი.**

---

## ქართული სიტყვის დიდოსტატი

ლიტერატურული საღამო

21 ივლისს ცაგერის საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურული საღამო „ქართული სიტყვის დიდოსტატი“ მიძღვნილი კ. გამსახურდიას დაბადების 100 წლისთავისადმი. მწერლის შემოქმედებაზე ისაუბრეს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტებმა ე. გოგიძემ, მ. ლიპარტელიანმა, ბ. ქურასბედიანმა.

ლექსები წაიკითხეს ს. სილაგაძემ, ნ. სილაგაძემ და ე. ბენდელიანმა.

საინტერესო და შინაარსიანმა საღამომ დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა.

**ნ. ჭაბუკიანი.**

---

## გთავაზობთ მომსახურებას

სახელმწიფო ორგანიზაციებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, კერძო პირებს, ყველას, ვინც დაინტერესებულია მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობით, ასოციაცია „ენერგია—პროგრესი“ თავაზობს თავის სამსახურს ჰიდროელექტროსადგურების პროექტირებაში, მშენებლობაში, მოწყობილობებით კომპლექტაციაში და ექსპლუატაციაში.

მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ყველა საკითხის ერთ პარტნიორთან გადაწყვეტა დაგიზოგავთ ფულად სახსრებს, დროს და მოგცემთ სამუშაოს ხარისხიანად შესრულების გარანტიას.

ასოციაციის მისამართია: თბილისი, ნაკადულის 4 (საქარხნო რაიონი, ნავთლუღი).

ტელეფონი: 98—03—27

ასოციაცია „ენერგია—პროგრესი“.

## გილოცავთ

**თამრიკო ახვლედიანს, ალუდა დავითულიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.
**მაკა, მირიან კოპალიანები.**

---

**თამრიკო ახვლედიანს, ალუდა დავითულიანს**
გილოცავთ ბედნიერებას, გფარავდეთ ღმერთი.
**რამაზ კვირკაშვილი ოჯახით.**

---

**თამრიკო ახვლედიანს, ალუდა დავითულიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.
**ქეთინო, ოთარ თუთისანები.**

---

**დოდო გოდერიძეს, თენგიზ ლეთოდიანს**
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.
**ლოლა ლეთოდიანი, გურამ ასლანიკაშვილი, ბორის მუშკუდიანი, თამაზ, გურამ ჩაკვეტაძეები, გიორგი ჯაფარიძე ოჯახებით.**

---

**ნინო კოპალიანს, ამირან კვირკაშვილს**
გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძემლიერი ოჯახი
**ამირან ჭიჭინაძე, გია ხეცურიანი ოჯახებით.**

---

**ნინო კოპალიანს ამირან კვირკაშვილს**
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იმრავლეთ, იბედნიერეთ.
**ამბერკი სილაგაძე ოჯახით.**

---

**ნინო კოპალიანს ამირან კვირკაშვილს**
გილოცავთ ბედნიერებას. ამ სიყვარულმა გიწინამძღვროთ.
**ნანი ხაბულიანი, ლალი, გენადი კვირკაშვილები.**

---

**დოდო გოდერიძეს, თენგიზ ლეთოდიანს**
გილოცავთ ბედნიერებას.
**ვასილ, ჟორა ლეთოდიანები ოჯახით.**

---

**ნინო, ამირან კვირკაშვილებს**
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ და იმრავლეთ.
**ნანული, და ბორის მიქაძეები.**

---

**ნინო კოპალიანს, ამირან კვირკაშვილს**
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იმრავლეთ.
**ჯიბილო მიქაძე, იაგო ყურაშვილი ოჯახებით.**

---

**იზა გიორგობიანს, გოჩა კაჭარაშვილს**
გილოცავთ ოჯახის შექმნას. ულევი სიხარული და სიყვარული დაგბედებოდეთ.
**ნათლული მარიკა ახვლედიანი.**

---

**იზა გიორგობიანს, გოჩა კაჭარაშვილს**
გილოცავთ ბედნიერებას. იხარეთ, იმრავლეთ.
**მზია გიორგობიანი.**

---

**იზა გიორგობიანს, გოჩა კაჭარაშვილს**
გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ შეგექმნათ ფუძემლიერი ოჯახი.
**მაგული, ავთანდილ ახვლედიანები.**

---

**ნატო კვენეტაძეს, გონდო განძელაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.
**თანაკლასელები.**

---

**მირანდა ყურაშვილს, ევგენი მამარდაშვილს**
გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.
**ალბერტ კოპალიანი, მამუკა ჩხეტიანი, გურამ გოგოხიძე, გოგი ბენიძე ოჯახებით.**

---

**ნინო, კახა მუშკუდიანებს**
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
**ირმა ლიპარტელიანი.**

---

**ნინო, ამირან კვირკაშვილებს**
გილოცავთ ბედნიერებას. ფუძემლიერი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.
**ხათუნა, ნური ხეცურიანები, ნაზიკო მურთაზ ჩაკვეტაძეები.**

---

**ნინო, ამირან კვირკაშვილებს**
გილოცავთ ბედნიერებას.
**ლალი, ბორია განძელაძეები.**

---

**ირინე ჩაჩხიანს, გურამ ციხილაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას. გფარავდეთ ღმერთი.
**გია ხეცურიანი ოჯახით.**

---

**ნინო, ამირან კვირკაშვილებს**
გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ შეგექმნათ ჭეშმარიტად ფუძემლიერი ოჯახი.
**მანანა, კობა ფრუიძეები.**

---

**ირმა კვირკაშვილს, ტარიელ კანაჩაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძემლიერი ოჯახი.
**თანაკლასელები.**

---

**თამრიკო ჭაბუკიანს, რამაზ სილაგაძეს**
გილოცავთ ბედნიერებას. დაგბედებოდეთ ურთიერთპატივისცემა და ძლიერი სიყვარული.
**ანზორ ჭაბუკიანი, ელგუჯა ლიპარტელიანი ოჯახებით.**

---

**ციცო, შადიმან დავითულიანებს**
გილოცავთ ალუდას ბედნიერებას.
**ანზორ კვირკაშვილი, ბაკო შკუბულიანი ოჯახებით.**

---

**ნანა შკუბულიანს**
გილოცავთ დაბადების დღეს. იდღეგრძელე და იხარე მრავალჟამიერ.
**გვანცა, ნინო, მუხრან ლიპარტელიანები.**

---

**ეკა, დათო კვენეტაძეებს**
**იზო, ვაჟა კვენეტაძეებს**
გილოცავთ შვილის და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
**რეზო, თამაზ ტვილდიანები ოჯახებით.**

---

**იზო, ვაჟა კვენეტაძეებს**
გილოცავთ შვილიშვილის—პატარა ვაჟას დაბადებას იხარეთ და იმრავლეთ.
**ონერ ნემსწვერიძე, სოსო გასვიანი, ჯიბილო მიქაძე, ლილი, ოთარ გურგუჩიანები.**

---

**ჟინვერ, მამუკა, მარინე, ლალი გიორგობიანებს**
გილოცავთ ვალერის ბედნიერებას.
**მზია, მურთაზ სილაგაძეები.**

---

**გულნაზი, კარლო საღინაძეებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.
**რაიპოლიკლინიკის თანამშრომლები.**

---

**ლია მუშკუდიანს, ტარიელ ხმელიძეს**
გილოცავთ ქალიშვილის შეძენას.
**ციცო სადილიანი, ლია გუგავა, იმგა თოთაძე, მანანა კოპალიანი, ლია ხვადაგიანი, მედიკო ნემსაძე, მზია გასხოლიანი, ჟუჟუნა მეშველიანი, აზა ირემაძე, ელი სადილიანი, ლელა სვანიძე, ნანა გატიაშვილი.**

---

**ინგა, გუჯუ სვანიძეებს**
გილოცავთ ლელას ბედნიერებას. იხარონ და იმრავლონ.
**ზურაბ სვანიძე ოჯახით.**

---

**ვაჟა კვენეტაძის ოჯახს**
გილოცავთ პატარა ვაჟას შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი
**მევლუდ ირემაძე ოჯახით.**

---

**კახა სოსოს ძე კვირკაშვილს**
გილოცავთ უმაღლეს სასწავლებელში მოწყობას
**ნათია, თამუნა, თათია კვირკაშვილები.**

---

**ქეთინო, ზაურ ყურაშვილებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.
**აზა, გოტუნა, ნაზი, ფატიმა, ნარგიზა, ნანი, ფოთოლა, გუგული, მედიკო, მერი, ოლეგი, ჟორა, გრიშა, ლევანი.**

---

**იზა გიორგობიანს, გოჩა კაჭარაშვილს**
გილოცავთ ბედნიერებას. ულევი სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.
**ლვირიშის საშუალო სკოლის კოლექტივი.**

---

**იზო, ვაჟა კვენეტაძეებს**
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. სიმრავლე, სიჯანსაღე ყოფილიყოს თქვენს ოჯახში.
**მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით.**

---

**თამრიკო, იუზა, შურა, ლალაკო მინდაძეებს**
გილოცავთ გოგიტას უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას.
**ნორა, აზა, ნინო, მუხრან ლიპარტელიანები.**

---

**იზო ბებო!**
გილოცავ ნინოს ბედნიერებას.
**ლაშა გიორგის ძე გოლეთიანი.**

---

**დოდო, გუჭუ მამარდაშვილებს**
გილოცავთ ნინოსა და გოგას ბედნიერებას. გისურვებთ ულევ სიხარულს.
**მანანა, კობა ფრუიძეები.**

---

**იზო, ჟენია, თინა გოგოხიძეებს, ნანა კოპალიანს**
გილოცავთ ნინოს ბედნიერებას. სიმრავლე და სიხარული არ მოგკლებოდეთ.
**ნოდარ შკუბულიანი ოჯახით.**

---

**ციცო კვირკაშვილს, შადიმან დავითულიანს**
გილოცავთ ალუდას ბედნიერებას.
**იზო გოგოხიძე, დათო ხეცურიანი, ჯუმბერ ცვარიანი, ზაურ ახვლედიანი, გივი ნემსაძე, შერმადინ საღინაძე, გელა მამარდაშვილი, ჟორა სილაგაძე, კახა ფუტკარაძე, გუჭუ გენდელიანი ოჯახებით.**

---

**ნატო ვარლამის ასულ მურცხვალაძეს**
გილოცავთ დისშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
**ცაგერის შემნახველი ბანკის თანამშრომლები.**

---

## ხსოვნა

### თინა მასხარაშვილი-მანდარია

5 წელი შესრულდა 31 ივლისს, რაც ჩვენს შორის აღარა ხარ ბებო, მძიმეა და მწუხარებით გაჟღენთილი თითოეული დღე ჩვენი ოჯახისათვის. მოულოდნელად, ნაადრევად წახვედი ამ ქვეყნიდან, თუმცა, შვილმკვდარი დედის სიცოცხლე არად ღირსო, ბევრჯერ იტყოდი. ყველა ამ ქვეყნიური სიამოვნება შენი თავისთვის, შენი გარდაცვლილი ბიჭების, ჯემალის და ნუგზარის გარეშე გენანებოდა, შენი ერთადერთი იმედი მე ვიყავი, ჩემთვის შეუძლებელს აკეთებდი, ცხოვრებისაგან დაჩაგრული დედა ჩემში, ერთადერთ შვილიშვილში ხედავდი იმედის ნაპერწკალს, სულით და გულით პედაგოგი რამდენ კეთილ თვისებას შთამაგონებდი. იმ მძიმე ხვედრისთვის, რაც განგებამ არგუნა ჩემს ბავშვობას, გენანებოდი და ჩემდამი ტკბილი, ტაქტიანი დამოკიდებულებით დარდს მიქარწყლებდი, მიმსუბუქებდი.

მძიმე სენმა დაიბუდა შენს სხეულში, მაგრამ მაინც სკოლაში დადიოდი, შენს გასაჭირს არავის ახვევდი, მოთმინებით იტანდი ყველა ტკივილს.—ჩემს მადონას უფრო მეტი მაშინ დასჭირდება, სტუდენტი რომ გახდება,—იტყოდი. მაგრამ ვაი, რომ ჩემს სტუდენტობასაც ვერ მოესწარ, ულმობელი ბედისწერა, ერთი დღით ადრე დახუჭე თვალი, ის სიხარული, რაც შენთვის მინდოდა მომენიჭებინა, დაგვაკლდა. იმდენად უძლურება და უსუსურობა დავინახე იმ უკურნებელი სენის წინაშე, რამაც გიმსხვერპლა, ჩარიცხული რომ არა, უარს ვიტყოდი ჩემს მიერ არჩეულ პროფესიაზე.

რაც დრო გადის, უფრო და უფრო გვაკლიხარ და გვენატრები ბებო, ჩემს მეხსიერებაში დარჩები როგორც ოჯახზე ფიქრსა და ზრუნვაში მუდამ დაღლილი, უდიდესი მოთმინებისა და ნებისყოფით აღსავსე, გამზრდელი და მოამაგე ბებია. ღმერთმა ნათელში მიმყოფოს შენი სპეტაკი და ამაღლებული სული.

**შენი მადონა.**

## სხოვნა

33 წლის შესრულებას გილოცავთ, გია! ჩვენო მოურჩენელო ტკივილო, ჩვენო უილბლო ბიჭო, საოცრად ლამაზო და კეთილო. შენს საფლავზე ფოთლების ნაღვლიანი შრიალით შემოსულმა მარიამობის თვემ მოგილოცა ალბათ ჩვენზე ადრე დაბადების დღე, ჩვენო ერთადერთო საფიცარო, საამაყო ძმა.

ახოვანი, ლამაზი, ამაყი სულით დაჯილდოებული, ერთგული და მოსიყვარულე იყავ მეგობრებშიც, ოჯახშიც.

## გია გივის ძე ჯიაძე

შეუძლებელია შეგუება იმ უბედურებისა, რომელიც შენი ტრაგიკული წასვლით დაგვატყდა თავს. ვინ იფიქრებდა, რომ დღეს შენ ჩვენს შორის აღარ იქნებოდი. როგორ დაგვაკლდა ყველას შენი სითბო, ღიმილი და შენ კი ჩვენი.

გიგონებთ და ვერ შევრიგებივართ შენთან განშორებას, რა მიწა გააგრილებს შენს ცხელ გულს, რა გაჩერებს საფლავში, რამ დაგადუმა, რად წაიღე იმ ქვეყნად პირადი ფიქრები.

წელიწადნახევარია ანგელოზებთან დაემკვიდრე, წელიწადნახევარია შენი კეთილი, თბილი ღიმილი გვენატრება. არც ერთი დღე არ გასულა შენი წასვლიდან შენი სახელი არ ხსენებულიყოს ჩვენს ოჯახებში. პატარა დისშვილების ყოველ წუთს საფიცარო „გია ბუძია“.

„შენი საფლავი ჩვენი გულია“ არასოდეს არ მივატოვებთ მას და შენ! ჩვენო ერთადერთო ობლად, უცრემლოდ, ცოცხალი ყვავილების გარეშე. ხშირად მოვალთ, მოგეფერებით როგორც ყოველთვის. შენი მონატრებისას, არ დავიწყებისას ვიტყვით, სანთლებს აგინთებთ, ჩვენო ბიჭო! ამ სანთლების შუქი არასოდეს ჩაქრება, რადგან მას ყველა შენი ახლობელი ვდარაჯობთ.

მეგი და შენი დედმამიშვილების ოჯახები.

---

სოფელ ლესინდის მოსახლეობა თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**გრიგოლ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

რაიგაავადმყოფოს სამზარეულოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ზანი სილაგაძეს ძმის

**გრიგოლ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

კალიკო გოლეთიანი, გივი ხმელიძე, იულია ქომეთიანი, ნუგზარ სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**გრიგოლ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვალოდია გოგიძე, გოგი ნემსწვერიძე, მურთაზ კოპალიანი, ბადრი ჭოხონელიძე, ამირან ჭარხალაშვილი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**გრიგოლ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ჯუმბერ, გივი, გიზო სალიკაძეები თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ლიდა ბენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ტულუ ხაბულიანი, ნელი ჩაკვეტაძე, მიშა ფოჩხიძე, ლერი, სოზარ იმნაძეები იუწყებიან ბიძის

**ინდიკო ჩაკვეტაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

კუკური, გურამ ბერიძეები, გოჩა აბულაძე თანაუგრძნობენ ნინო ჩაკვეტაძეს მეუღლის

**ზურიკო დანელიას**

გარდაცვალების გამო.

---

სახელმწიფო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გუგული ნემსწვერიძეს მამის

**ალექსანდრე ვასილის ძე ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ნანი ხაბულიანი თანაუგრძნობს მწუხარებაში გედეონ, ზურიკო, ზანი, მარინე სილაგაძეებს შვილისა და ძმის

**გრიგოლ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ალბერტ ჩარხიანი, ილუშა ურთმელიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ზაურ ახვლედიანს

**მიხეილ მიქაუტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

სიდედრი დოდო ხალიანი, ცოლისძმა თამაზი, ცოლისდა ზაირა სვანიძეები, რძალი ზაირა ტოგონიძე, ქვისლი რომან ფარჯანაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გელა ახვლედიანი.**

---

ოთარ სილაგაძე, ოთარ ყურაშვილი, ანზორ კვირკაშვილი, ბორის ჯიაძე, გიგო ლიპარტელიანი ოჯახებით იუწყებიან

**გელა ახვლედიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ანზორ ნემსაძე, ემზარ, ზურაბ მდივნები, ელემი, ამირან ახვლედიანები, ემზარ, სოსო მუშკუდიანები, ზაქრო, ვაჟა, ლერი სალინაძეები, ვალერი ჩხეტიანი, ამირან ბრეგვაძე, თემურ კოპალიანი, ილუშა ასათიანი, ჯონი დავითულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**გელა ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

იაშა ხაბულიანი, თამაზ ფუტკარაძე, ვაჟა სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გელა ახვლედიანი.**

---

ზურაბ ნესტორის ძე მდივანი ოჯახით თანაუგრძნობს ოჯახს

**გელა ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

თამარ, სევარიონ კოპალიანები შვილებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**გელა ახვლედიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შოთა, ზურაბ ახვლედიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**ალექსანდრე ნემსწვერიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ტახია ლიპარტელიანი, ამირან სადილიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**გელას**

გარდაცვალების გამო.

---

სამსონ, ოლეგი, ჯონი ქარსელაძეები, გელა ხაბულიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კატო გუგავა**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები ლალი, თამაზი, და ფუცუ, რძალი როზა გოლეთიანი, სიძე ზურაბ ხელაძე, შვილიშვილები გია, ზურაბი, აკაკი, დათო, ძმისშვილი გახვა, დისშვილები ლია, ტარიელ სალინაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამარ პავლეს ასული კვირკაშვილი—ჩაკვეტაძე.**

დაკრძალვა 17 აგვისტოს, სამშაბათს, 3 საათზე ქ. ცაგერში.

---

ლულუნა სალინაძე ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ლიდა ბენდელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ორბელის საექიმო ამბულატორიისა და აფთიაქის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაგული კვირკაშვილს დედის

**პაშა კვირკაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ვენედი ცხვედიანი, ქიმვარდ ქურაშვილი, მევლუდ სილაგაძე, ნანი ხაბულიანი, ნუგზარ, გია ჭაბუკიანები, ოლეგ გიორგობიანი, ამირან ახვლედიანი, ანდრო გურჯალიანი, საშა გენიძე, მერაბ კილვარია თანაუგრძნობენ ნინო, გოგი მუშკუდიანებს

**ვალტერ მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

---

საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქეთევან გუგავას დედის

**კატო გუგავას**

გარდაცვალების გამო.

---

ოთარ სილაგაძე ოჯახით იუწყება

**ლამარა სერგოს ასული სილაგაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მეზობლები სეით ყურაშვილი, კარლო ყვირილიანი, ოთარ ხაბულიანი, კუკური მდივანი, გელა ხვადაგიანი, მარიამ კახიძე, თალიკო კოპალიანი თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**თამარ კვირკაშვილი—ჩაკვეტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილი თამარი, და ლენა, შვილიშვილები შოთა, შამილი, რძლები მზია, ეთერი, ლენა, ნინა, დისშვილები, ძმისშვილები, მაზლიშვილები, შვილთაშვილიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლიდა ამბროსის ასული ბენდელიანი—ხაბულიანი.**

---

ჯუმბერ ჭაბუკიანი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**გრიგოლ გედეონის ძე სილაგაძე**

---

გერსი, ტარიელ თვარაძეები, გოგი ირემაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიგოლ გედეონის ძე სილაგაძე.**

---

ტახია ლიპარტელიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**გრიგოლის**

გარდაცვალების გამო.

---

სოსო კოპალიანი, გია, ილიკო ქომეთიანები, მამუკა სვანიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**გრიგოლ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საგადასახადო ინსპექციისა და საფინანსო განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნინო ნუნუ ლეთოდიანებს ბიძის

**გრიგოლ სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაშა გურჯალიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**მიხეილ მიქაუტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

დათო ხეცურიანი ოჯახით თანაუგრძნობს ზაურ ახვლედიანს სიძის

**მიხეილის**

გარდაცვალების გამო.

---

ასუსლი სალინაძე თანაუგრძნობს შოთა და შამილ კოპალიანებს ბებიის

**ლიდას**

გარდაცვალების გამო.

---

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ კლარა და ზაურ ახვლედიანებს სიძის

**მიშა მიქაუტაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ჩქუმის სკოლის V—VII კლასების მოსწავლეები, კლასების ხელმძღვანელები, გ. თუთისანი, გ. შკუბულიანი თანაუგრძნობენ ნანა, ნიკა, ნინო თუთისანებს დედის

**მერი თუთისანის**

გარდაცვალების გამო.

---

კინოფიკაციის თანამშრომლები ბორის, ამირან, ხეცურიანები, ავთანდილ, მირანდა ხაბულიანები, თამაზ ზურაბ ჩენდელიანები, ნელი ლეთოდიანი, იზოლდა კაჭკაჭაშვილი, გულნაზი ახვლედიანი, თამაზ თაგვაძე, გოგი კოპალიანი თანაუგრძნობენ მარინე შკუბულიანს დედამთილის

**მარგალიტას**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე თემური, დედა მარიამი, მაზ[illegible] ბი ნინო, ნ[illegible] ნანა, დ[illegible] დამთი[illegible] ლოლა, ძმა ანზორი, მაზლი ზურაბი, მულები გუგული, ნათელა, აზა, დალი, სიძეები, რძლები, მულიშვილები, მაზლიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მანანა (მერი) შერამის ასული ბენდელიანი—თუთისანი.**

---

ლამარა, დათო კაჭკაჭაშვილები, რამინ გულგანი, გია, ნოდარ კოპალიანები, რეზო, პიმენ მურცხვალაძეები, ვიტალი მუშკუდიანი, მამუკა ბოლქვაძე, მიხეილ კვირკაშვილი, ფაცა ჩარხიანი, მერაბ სილაგაძე, იური ლარცულიანი, ჭოჭია, ნუცი ახვლედიანები, სოსო ფანჯავიძე, შალვა თუთისანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ანზორ ნემსაძის ოჯახს დედის

**ნინა ნემსაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარო გურგუჩიანს რძლის

**ნინა გურგუჩიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ტახია ლიპარტელიანი ოჯახით თანაუგრძნობს ჭირისუფალს

**ნინას**

გარდაცვალების გამო.

---

ემზარ, ზურაბ მდივნები, ელემი, ამირან, ვალერი ახვლედიანები, ემზარ, სოსო მუშკუდიანები, ზაქრო, ვაჟა, ლერი სალინაძეები, ვალერი ჩხეტიანი, ამირან ბრეგვაძე, თემურ კოპალიანი, ილუშა ასათიანი, ჯონი დავითულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ანზორ ნემსაძის ოჯახს დედის

**ნინას**

გარდაცვალების გამო.

---

ნოდარ მუშკუდიანი ოჯახით თანაუგრძნობს აზა, გულნაზი, ანზორ ნემსაძეებს დედის

**ნინას**

გარდაცვალების გამო.

---

ორბელის საშუალო სკოლის 1976 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ნათელა სოფრომაძე, ქეთევან ძოძუაშვილი თანაუგრძნობენ ჭირისუფალს

**გრიგოლ გედეონის ძე სილაგაძის**

გარდაცვალების გამო.

---

გივი, ბორის სილაგაძეები, ბადრი თუთისანი, შიო ხუციძე, გივი გასვიანი, ავთო კვირკაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიგოლ გედეონის ძე სილაგაძე.**

---

გივი ლაკვეხელიანი, იური კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიგოლ გედეონის ძე სილაგაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

**რედაქტორი**

**ნ. ნემსაძე.**

ცაგერის რაიონული სტამბა.